



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №12

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 09 ნოემბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | | |
|-----------------|---|--|
| თამაზ სალუქვაძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების
კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე; |
| ელგუჯა ანდრიაძე | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |

- ბესარიონ გოგოტიშვილი - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;
- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- ვაჟა რამიშვილი - საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- დიმიტრი ჭეიშვილი - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ნაზი ფუტყარაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 1 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. ასევე მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი არჩილ მამულაძე - მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით საკრებულოს წევრის მიერ განცხადების გაკეთების შემდგომ მერიის სამსახურებმა პასუხი უნდა აცნობოს ან შეატყობინოს წერილობით. მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია პასუხი გაეცეს პრობლემურ საკითხებს. ასევე ბოლო დროს სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ქალაქისთვის ავარიულ სახლებთან დაკავშირებით ინფორმაცია, რომელიც მისამართების მითითებით, ადგილმდებარეობით, სურათებით ჩააბარა ქალაქ ბათუმის მერიას, თუმცა იმის შემდგომ გავიდა დრო და არც არავინ მისულა ობიექტებზე და არც შეტყობინება გაუგზავნია. გამომდინარე აქედან, ბევრი საკითხი აქვს დასაყენებელი, თუმცა თვლის, რომ აზრს მოკლებულია.

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე - უერთდება არჩილ მამულაძის პათოსს. ბათუმში დიდი ტრაგედია დატრიალდა, რის გამოც მერიის სამსახურები ექსპერტებთან ერთად ძველ ავარიულ კორპუსებთან დაკავშირებით უნდა იმუშაონ და დადონ უნდა მონაცემები ავარიული კორპუსების რაოდენობის თაობაზე. აჭარის ა.ა.რ. მთავრობამ განაცხადა ძველი კორპუსების ახლებით ჩანაცვლების თაობაზე, რაც მისასალმებელია. ამის გარდა პანდემიიდან გამომდინარე გაიზარდა ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა. დღეს ქვეყნის პირველი პრობლემაა კოვიდთან ბრძოლა, შემცირება და ადამიანების გამოჯანმრთელება. ის ფიქრობს, რომ მომავალი საკრებულო უფრო ქმედუნარიანი იქნება და მაქსიმალურად მოსახლეობისთვის ყველაფერს გააკეთებს.

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე - კოლეგებს უერთდება და სხდომის თავმჯდომარის მიერ კარგი ტრადიცია იყო, რომ სხდომაზე დასმულ საკითხები საკრებულოს აპარატის მიერ იგზავნება ქალაქ ბათუმის მერიაში პასუხის გასაცემად.

სხდომის თავმჯდომარე სულიკო თებიძე - დაეთანხმა კოლეგებს და აღნიშნა, რომ თვითონ მოიკითხავს მათ მიერ გადაგზავნილ წერილებზე პასუხს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში მოქმედი რედაქციის მიხედვით მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის ვადები მიზნულია კალენდარული თვის რიცხვებთან, მაგალითად 21 ნოემბერი, 23 ნოემბერი და ა. შ. წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით აღნიშნული ვადები რჩება უცვლელი, მაგრამ იგი მოცემულია ზოგად კონტექსტში, მაგალითად 3 დღის ვადაში, 2 დღის ვადაში და ა. შ. და აღარ არის დამოკიდებული კალენდარული თვის კონკრეტულ რიცხვზე.

კანონმდებლობა (საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“) განსაზღვრავს ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და დამტკიცების მაქსიმალურ ვადას (აწესებს ზედა ზღვარს), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ვადის შიგნით შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი პროცედურა.

ამდენად წარმოდგენილი ცვლილებებით მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვის პროცედურა უფრო მოქნილი და ეფექტური ხდება, რაც აბსოლუტურ თანხვედრაშია უპირატეს იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

სხდომის თავმჯდომარემ დასვა კითხვა - კომისიისა და ბიუროს სხდომებზე განხილული იქნა, მაგრამ საზოგადოებისთვის ნათელი, რომ იყოს ძველ რეგლამენტში მითითებული იყო რიცხვები, ერთი კომისიის განხილვის ვადა 15 რიცხვამდე, შემდგომ 18-მდე. ახლა კი ცვლილებით გაწერილია განხილვა 2-3 დღის ვადაში, ამით ის ინტერვალი, რაც გვქონდა რეგლამენტში გადმოაქვთ ახალ რეგლამენტში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვადები იგივე რჩება, უბრალოდ მითითებული იქნება 2 დღის ვადაში.

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე - რას აძლევს ის, რომ არ იქნებოდა კონკრეტულ კალენდარულ რიცხვებზე დამოკიდებული, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამართლებრივი კუთხით უმჯობესია იყოს ზოგადი ჩანაწერი და არა კონკრეტული ციფრები.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თეზიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ი. თავართქილაძე — საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი